ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2026 წლის 16 იანვარი

სოფ. წეროვანი

„2026 წლისათვის ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 164 -ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მეორე პუნქტის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„2026 წლისათვის ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს და საშტატო ნუსხა დამტკიცდეს დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №17 დადგენილება (ვებგვერდი, 31.12.2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.150.016208) ,,2025 წლისათვის ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ .

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ახალგორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ბალაშვილი**

დანართი

2026 წლისათვის ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა

თანამდებობის დასახელება			
საკრებულო			
თანამდებობის დასახელება	**კოეფიციენტი**	**შტატი**	**სარგო**
საკრებულოს თავმჯდომარე		1	5400
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		1	3650
კომისიის თავმჯდომარე		4	3000
ფრაქციის თავმჯდომარე		4	3000

საკრებულოს აპარატი

თანამდებობის დასახელება	**კოეფიციენტი**	**შტატი**	**სარგო**
აპარატის სამსახურის უფროსი – I რანგი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1.7	1	2720
განყოფილების უფროსი – II რანგი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხემძღვანელი	1.2	2	1920
მთავარი სპეციალისტი – III რანგი – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	0.9	2	1440

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი

მძღოლი – 1 – სარგო –1280